განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
17.12.2019.

დასკვნის წარდგენის თარიღი
3.02.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (0703)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი- გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ფირალიშვილი - აპ.ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ წიქარიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, როდესაც აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N244 გადაწყვეტილება).

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 (ECTS) კრედიტი. პროგრამის დიზაინი კრედიტებში ასე გამოიყურება: 140 ECTS - სპეციალობის სავალდებულო კურსები; 30 ECTS - პროგრამის არჩევითი კურსები; 70 ECTS - სასწავლო კურსები უსდ-ში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 ECTS) და სასწავლო კურსები (10 ECTS).

საგანმანათლებლო პროგრამაში უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ, 2014-2018 წლებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: „ინტერნეტჟურნალისტიკა“, „მედია და კონფლიქტები“, „ფოტოჟურნალისტიკა“ განისაზღვრა სავალდებულოდ;
- სასწავლო კურსის ,,სოციალური ეკონომიკა“ სალექციო საათების რაოდენობა გაიზარდა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებთან.
- პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად გაძლიერდა პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად გააქტიურდა პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა; გაძლიერდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი; რიგ სასწავლო კომპონენტებში, მათ შორის რადიოჟურნალისტიკასა და ტელეჟურნალისტიკაში პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით ერთ-ერთი აქტივობის სახით ჩართული იქნა რადიო და ტელეგადაცემის მომზადება; დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

2019 წელს პროგრამაში კვლავ განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ:

- შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოსაზრებათა გათვალისწინებით სასწავლო კურსები ,,რეკლამა მედიაში“ და ,,ჟურნალისტური ეთიკა“ განისაზღვრა სავალდებულოდ.
- პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები: „სოციალური კვლევის მეთოდები“, „სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება“, „არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა“,

„ბავშვთა საკითხების გაშუქება“, "ფილოსოფიის შესავალი", "ფსიქოლოგიის საფუძვლები", "დემოკრატია და მოქალაქეობა", "კულტუროლოგია", "საქართველოს ისტორია", "მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია", "სოციოლოგიის საფუძვლები", "ეკონომიკის საფუძვლები".

- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით.

საბაკალავრო პროგრამას ჰყავს სტუდენტთა ძალზე მცირე რაოდენობა (პირველ კურსზე 2 სტუდენტი, მეორე კურსზე – 0 სტუდენტი, მესამე კურსზე - 3 სტუდენტი), რაც კითხვებს აჩენს პროგრამის რენტაბელურობასთან დაკავშირებით. თუმცა, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, უსდ-მ გასულ წელს ჩაატარა შიდა ქართლის რეგიონში აბიტურიენტთა დამოკიდებულების კვლევა, რომლის მიხედვით 38 აბიტურიენტმა გამოთქვა სურვილი სწავლა გააგრძელოს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე. მათი გადაწყვეტილება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით: უნივერსიტეტის იმიჯი, სწავლის ღირებულება, ადგილმდებარეობა, მშობლების, ნაცნობების რჩევა და სხვ.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 17 დეკემბერს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს. ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უსდ-ს ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა. ადგილზე გაეცნო სტუდენტების მონაწილეობით მომზადებულ ვიდეოსიუჟეტებს, ჟურნალ-გაზეთებს. უსდ-მ ექსპერტთა ჯგუფს მუშაობის კარგი პირობა შეუქმნა. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. კომისია მუშაობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები პროგრამასთან **შესაბამისობაშია.**
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა- **მეტწილად შესაბამისობაშია** .
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია** .
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა **-მეტწილად შესაბამისობაშია**.
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **შესაბამისობაშია** .

- **რეკომენდაციები**

  - პსშ-ს ეფექტურად შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია მათი ოპტიმიზაცია;
  - პროგრამას დაემატოს მულტიმედია ტექნოლოგიის პრაქტიკული კურსი, ხოლო სასწავლო კურსი "სოციოლოგიის საფუძვლები" განისაზღვროს სავალდებულოდ.
  - პროგრამის დარგობრივ საკვანძო სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
  - პრაქტიკის სასწავლო კურსში აისახოს ონლაინმედიაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასევე, წინაპირობად დაემატოს "ინტერნეტჟურნალისტიკა".
  - გადაიხედოს სწავლება- სწავლის მეთოდების მიზნობრიობა სასწავლო კურსებში: ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგიის საფუძვლები, დემოკრატია და მოქალაქეობა, კულტუროლოგია, საქართველოს ისტორია, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სოციოლოგიის საფუძვლები, ეკონომიკის საფუძვლები, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია I , II; საზღვარგარეთის მედია.
  - პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისათვის შეიქმნას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი მედიაცენტრი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის, ასევე, სწავლება-სწავლის პროცესში ინგლისურენოვანი წყაროების ფართოდ გამოყენებისთვის, სასურველია ინგლისური ენის სწავლება გაძლიერდეს B2.2 დონის ჩათვლით. კარგი იქნება სტუდენტები დარგობრივ ინგლისურ ენასაც თუ დაეუფლებიან.
- პროგრამაში გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს სპეციალობის არჩევითი საგნების საკრედიტო მოცულობა (ამჟამად 20 კრედიტია). ეს სასწავლო პროგრამას გახდის უფრო მოქნილს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ თავიანთი პროფესიული ინტერესების შესაბამისადაც „ააგონ“ სასწავლო პროგრამა.
- ჟურნალისტიკის დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად, სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორის მიერ უახლეს და მრავალფეროვან ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადებული საკითხავი მასალა, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც.
- პროგრამა განიცდის პრაქტიკოსი ლექტორების სიმცირეს. ექსპერტთა აზრით, დარგში სპეციალიზირებული პერსონალის რიცხვის გაზრდა, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი მომავალში დადებითად აისახება საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ხარისხზე.
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სამეცნიერო საქმიანობის სხვადასხვა სახის ღონისძიებები: კვლევითი პროექტები; კონფერენცები; ტრენინგები; მასტერკლასები და ა.შ. სასურველია, უცხოელი სპეციალისტის/ექსპერტის მოწვევა, რაც ითვალისწინებს არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებას მასტერ-კლასების, ტრენინგების და სხვა ჩატარების გზით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმებსაც, რაც ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს დაეხმარება საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში, მეორე

მხრივ, ხელს შეუწყოს დარგის განვითარებას რეგიონში და საერთაშორისო სივრცეში მის ადაპტირებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძენილი ცოდნით, გამომუშავებული უნარებით და განვითარებული მოქალაქეობრივი ღირებულებებით წარმატებით შეძლებს პროფესიულ საქმიანობას და/ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს. კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულს მისცეს ჟურნალისტიკის დარგის ფართო ცოდნა, შეასწავლოს ტელეჟურნალისტიკის, რადიოჟურნალისტიკის, ფოტოჟურნალისტიკის, ბეჭდური მედიის ძირითადი თეორიები და პრინციპები, გამოუმუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევები და განუვითაროს პროფესიული და მოქალაქეობრივი ღირებულებები. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილ კურსდამთავრებულს შესწევს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების მიერ, იგი საჯაროა და ხელმისაწვდომი - განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ პროგრამის მიზნები; ➢ საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ "გსსუ"-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა; ➢ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ➢ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gu.edu.ge/ge/ ➢ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: ----
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ------
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ------
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მეექვსე დონის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. კურსდამთავრებულმა იცის ქართული და საზღვარგარეთული ჟურნალისტიკის ისტორია; ახალი ამბების ჟურნალისტიკის პრინციპები; ტელეჟურნალისტიკის, რადიოჟურნალისტიკის, ფოტოჟურნალისტიკის, ბეჭდური მედიის ძირითადი კონცეფციები; სოციოლოგიის, სოციალური სტატისტიკისა და მედიამენეჯმენტის საფუძვლები; მედიასამართალისა თუ საგამოძიებო ჟურნალისტიკის საფუძვლები. ასევე, აცნობიერებს თანამედროვე ჟურნალისტიკის კომპლექსურ საკითხებს. ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად, კურსდამთავრებულს შეუძლია სათანადო მეთოდების შერჩევა და გამოყენება;

მედიაპროექტების (სატელევიზიო და რადიორეპორტაჟი, საგაზეთო პუბლიკაცია) მომზადება და განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ასევე, ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის შეგროვება და განმარტება;

განყენებული მონაცემების და სიტუაციების ანალიზი და მათი ინტერპრეტაცია ჟურნალისტიკის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; პრობლემის გადაწყვეტის მიზნით შერჩეული მიდგომის თაობაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კურსდამთავრებულს შეუძლია ჟურნალისტიკის სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. ჟურნალისტებთან და სხვა დარგის სპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კომპიუტერული პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით. ასევე, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე პროფესიული განვითარების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების იდენტიფიცირება; წარმატებული პროფესიული საქმიანობის და შრომის ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ჟურნალისტიკაში საკუთარი ცოდნისა და უნარების მუდმივად განახლება.

კურსდამთვრებული პატივს სცემს პროფესიული და სამოქალაქო ღირებულებებს და მათ დასამკვიდრებლად იყენებს შეძენილი ცოდნას.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პსშ მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, თუმცა არის რაოდენობრივად ბევრი. თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მეთოდებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით, რაოდენობრივად ბევრი სწავლის შედეგი გაართულებს პსშ-ს შეფასების პროცესს. ექპერტთა აზრით, მიზანშეწონილია მათი ოპტიმიზაცია.

პროგრამის კურიკულუმის რუკის მიხედვით, სტუდენტის მიერ სოციოლოგიის, სოციალური სტატისტიკის, მედიამენეჯმენტის საფუძვლებში ცოდნის მიღება (პსშ) განსაზღვრულია მხოლოდ მედიამენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის გავლის შედეგად, რაც, ექსპერტთა აზრით, საკმარისი არ არის. სოციოლოგიის საფუძვლებში ცოდნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სასწავლო კურსს "სოციოლოგიის საფუძვლები" შეეცვალოს სტატუსი (არჩევითი) და განისაზღვროს სავალდებულო დისციპლინად . *შენიშვნა: ზემოაღნიშნული პსშ-ს მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამას აქვს სავალდებულო სასწავლო კურსი სოციალური კვლევის მეთოდები, რაც კურიკულუმის რუკაში არ არის ასახული.*

უსდ-ს შემუშავებული აქვს პსშ-ს შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა/მეთოდებს და იძლევა სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას. პსშ-ს შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია შემდეგნაირად: ერთი წლის განმავლობაში ფასდება არაუმეტეს 3 სასწავლო შედეგი, თან ისე, რომ ყველა სწავლის შედეგის შეფასებისათვის საჭირო დროის პერიოდი არ აღემატებოდეს პროგრამის ხანგრძლივობას. პსშ-ს ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების ინდიკატორებია: შეწონილი შეფასება (გამოთვლა და გამოყენება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის“ შესაბამისად), სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან. საგანმანათლებლო პროგრამას დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის (70%). შესაბამისად, სწავლის შედეგი ითვლება მიღწეულად, თუ პსშ-ს საბოლოო შეფასება აღემატება 70%-ს. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დადასტურდა ინტერვიუს სესიებით. პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; ➢ პროგრამი თვითშეფასების ანგარიში; ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება); ➢ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ➢ შრომის ბაზრის კვლევა; ➢ სამიზნე ნიშნულები; ➢ გამოკითვის შედეგები; ➢ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან.
რეკომენდაციები: ➢ პსშ-ს ეფექტურად შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია მათი ოპტიმიზაცია; ➢ (პსშ) სოციოლოგიის, სოციალური სტატისტიკის, მედიამენეჯმენტის საფუძვლების ცოდნის მისაღწევად, სოციოლოგიის საფუძვლების სასწავლო კურსი განისაზღვროს სავალდებულოდ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ------
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -----
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

6. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის

სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი პერიოდულად ატარებს პრეზენტაციასაც. *შენიშვნა:* თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ისტორიის გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა, თუმცა სხვა მასალებით (პროგრამა, ინტერვიუს შედეგები, ვებგვერდი) ასეთი არ დასტურება. შესაბამისად, ამ სტანდარტის შეფასებისას ვიხელმძღვანელეთ საგანმანათლებლო პროგრამით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gu.edu.ge/ge/ ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. ➢ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: -----
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ------
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ----
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. პროგრამის შემდგენლები ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კანონმდებლობით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი (კრედიტებში) ასე გამოიყურება:

140 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურებს; პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს;

30 კრედიტი -პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებს (მათ შორის ჟურნალისტიკის სპეციალობას - 20 კრედიტი).

70 კრედიტის მოცულობით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აირჩიოს დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით) და 10 კრედიტი - სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან.

სპეციალობის სავალდებულო კურსების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია ჟურნალისტიკის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაფართოებაზე სტუდენტის ინტერესების შესაბამისად.

სასწავლო კურსები - „ფილოსოფიის შესავალი“, ,,დემოკრატია და მოქალაქეობა“, ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, ,,კომპიუტერული უნარ-ჩვევები”, ,,კულტუროლოგია“, ,,საქართველოს ისტორია“, ,,მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“, "ფსიქოლოგიის საფუძვლები“, ,,სოციოლოგიის საფუძვლები“, " ეკონომიკის საფუძვლები“ - ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი, ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (**CEFR**) შესაბამისად) B2.1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას A2(Elementary) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის

კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. შესაბამისი სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში.

ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის, ასევე, სწავლება-სწავლის პროცესში ინგლისურენოვანი წყაროების ფართოდ გამოყენებისთვის, ექსპერტთა რჩევაა, ინგლისური ენის სწავლება გაძალიერდეს B2.2 დონის ჩათვლით. კარგი იქნება, სტუდენტები დარგობრივ ინგლისურ ენასაც თუ დაეუფლებიან.

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ სტანდარტს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შესახებ, რაც საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას გულისხმობს. თუმცა, პროგრამაში სპეციალობის არჩევითი საგნები მხოლოდ 20 კრედიტით არის წარმოდგენილი, დანარჩენი არჩევითი საგნებიდან არცერთი არ ეხება უშუალოდ ჟურნალისტიკას და წარმოადგენს დამატებით კონტრიბუციას. ექსპერტთა რჩევაა, პროგრამაში გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს სპეციალობის არჩევითი საგნების საკრედიტო მოცულობა. ეს საგანმანათლებლო პროგრამას გახდის უფრო მოქნილს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ თავიანთი პროფესიული ინტერესების შესაბამისადაც „ააგონ“ საგანმანათლებლო პროგრამა.

თანამედროვე მედია საშუალებების მზარდი გავლენა მსოფლიოში და საქართველოშიც, თვალნათელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მულტიმედიური უნარების მქონე ჟურნალისტების მომზადება. ამას ადასტურებს შრომის ბაზრის საუნივერსიტეტო კვლევაც, რომლის ფარგლებშიც დასაქმებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საგანმანათლებლო პროგრამაში სამონტაჟო პროგრამების, გრაფიკული და მულტიმედიადიზაინის სწავლებას. ექსპერთა ჯგუფის აზრით, საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები სტუდენტს არ აძლევს სრულფასოვან ცოდნასა და უნარებს აღნიშნულ სფეროში. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამას დაემატოს მულტიმედია ტექნოლოგიების პრაქტიკული კურსი, რომელიც სტუდენტებს მოამზადებს სხვადასხვა ტიპის მედია პლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმენლად; ასევე, იმისთვის, რომ საკუთარი კონტენტის ინტერნეტით გასავრცელებლად ფლობდნენ ისეთი პროგრამებს, რომლებსაც მოიხმარენ ახალი ამბების თანამედროვე მულტიმედიური რედაქციები. აქ ვგულისხობთ მაგალითად, შემდეგ პროგრამებს: Adobe Photoship, Adobe Illustrator, Adobe Premer და ა.შ; ასევე, კონტენტის გაზიარებისთვის განკუთვნილ პლატფორმებს- YouTube, Vimeo, Flickr, Scribd და ა.შ.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა ექსპერთა აზრით, პრაქტიკის სასწავლო კურსს წინაპირობად უნდა დაემატოს ინტერნეტჟურნალისტიკაც. მიგვაჩნია, რომ დანიშნულებიდან გამომდინარე პრაქტიკის კურსმა, თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, სტუდენტებს უნდა განუვითაროს აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები ონლაინჟურნალისტიკის სფეროშიც.

წარმოდგენილი მასალა და ინტერვიუს სესიები ადასტურებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა ნაწილის ჩართვას პროგრამის შემუშავების პროცესში. გსსუ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის

საჯაროობას და გამჭვირვალობას, პროგრამა განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება); ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მტკიცებულებები; ➢ ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ➢ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; ➢ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. ➢ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკად./მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ➢ პროგრამის სავალდებულო მოდულს დაემატოს მულტიმედია ტექნოლოგიის პრაქტიკული კურსი; ➢ პრაქტიკის სასწავლო კურსს წინაპირობად დაემატოს ინტერნეტჟურნალისტიკის კურსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის . ➢პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს სპეციალობის (ჟურნალისტიკა) არჩევითი საგნების კრედიტების მოცულობა. ➢ინგლისური ენის სწავლება გაძლიერდეს B2.2 დონის ჩათვლით; ასევე, სასურველია სტუდენტები დაეუფლონ დარგობრივ ინგლისურ ენასაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა დგინდება კურიკულუმის რუკით.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის მოცულობა (გამონაკლისი - 10 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას) 5 კრედიტია. თუმცა, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განსხვავებულია დისციპლინების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოსაყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია, გარდა 2.5 სტანდარტში მითითებული სასწავლო კურსებისა.

ზოგიერთ სასწავლო კურსში შინაარსი სრულად არ შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რაც გამოწვეულია სილაბუსებში პრაქტიკის კომპონენტის ნაკლებობით. კერძოდ, სამაუწყებლო მედია -რადიოს, სამაუწყებლო მედია - ტელევიზიის, ბეჭდური მედიის სასწავლო კურსების სილაბუსებში არ ჩანს თეორიულ კურსში ჩაშენებული პრაქტიკის ფოკუსირება იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. არც ინტერვიუს შედეგები ადასტურებს ასეთი უნარების პრაქტიკულ ათვისებას. ექსპერტთა აზრით, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენეტი გასაძლიერებელია, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სტუდენტის ჩართულობას პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია, სილაბუსებში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები.

სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში თავმოყრილია ქართულ ბაზარზე არსებული თანამედროვე სახელმძღვანელოები. ვინაიდან ქართული მედიაგანათლების პრობლემას ჯერ კიდევ წარმოადგენს ქართულ ენაზე გამოცემული ჟურნალისტური სახელმძღვანელოების სიმწირე (უცხოურ სასწავლო ლიტერატურას ჩვენთან არცთუ ხშირად თარგმნიან), ექპერტთა რჩევაა, დარგში მიმდინარე ტენდენციებისა

და მიღწევების გასაცნობად, სტუდენტებს მიეწოდოთ ლექტორის მიერ უახლეს და მრავალფეროვან უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადებული საკითხავი მასალა, შესაძლებელია ინტერნეტრესურსებისა და ვიდეოლექციების გამოყენებაც. ამის მოლოდინი დაგვანახა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმაც, რომლის მიხედვით გამოკითხულ სტუდენტთა 45%-ს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია ისარგებლოს უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით თუ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ სასწავლო კურსების სილაბუსები; ➢ საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმის რუკა; ➢ თვითშფასების ანგარიში; ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილება); ➢ შრომის ბაზრის კვლევა; ➢ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ➢ პროგრამის დარგობრივ საკვანძო სასწავლო კურსებში (სამაუწყებლო მედია -რადიო; სამაუწყებლო მედია - ტელევიზია; ბეჭდური მედია) გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ჟურნალისტიკის დარგში მიმდინარე ტენდენციებისა და მიღწევების გასაცნობად სტუდენტებს პერიოდულად მიეწოდოთ უახლეს და მრავალფეროვან უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადებული საკითხავი მასალა, შესაძლებელია ინტერნეტრეურსებისა და ვიდეო ლექციების გამოყენებაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -----
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ----
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის განხორციელება განსაზღვრულია ე. წ შერეული მოდელით: ა) სავალდებლო და არჩევით სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და ბ) პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ტრანსფერული უნარების გამომუშავებას და ფორმირებას.

პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. კერძოდ, მედიასფეროსა და მედიაბაზარზე არსებული ტენდენციების, მედიაორგანიზაციის მართვისა და მარკეტინგული კვლევის, გაზეთის/ჟურნალის/ ტელე - რადიოკომპანიის მიზნებისა და ამოცანების, მისი/მათი პრაქტიკული საქმიანობის გაანალიზების, მედიაპროდუქტის ფორმირების თავისებურებების შესახებ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თუმცა, სტუდენტებს სრულყოფილად ვერ უვითარებს ონლაინ მედიაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. მიზანშეწონილია ამ მხრივ პრაქტიკის სილაბუსის გაძლიერება.

წარმოდგენილი მასალები და ინტერვიუს სესიები ადასტურებს, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების ათვისება და პროფესიულ გარემოში ადაპტირება სტუდენტებს შეუძლიათ ქართული მედიაჯგუფის, რადიო "მოზაიკის", შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის www.Qartuli.ge სარედაქციო ბაზაზე. მემორანდუმების თანახმად, პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - ლექტორი და პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელი - ორგანიზაციის წარმომადგენელი. ასევე, პრაქტიკის სილაბუსში აღწერილია პრაქტიკის გეგმაც, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმებს .

უსდ-ს არ აქვს საკუთარი მედიაცენტრი, რომელიც სტუდენტებისთვის პროფესიაში დახელოვნების ძირითადი ბაზა იქნებოდა (დეტალური ანალიზი და რეკომენდაცია იხ. 4.3 სტანდარტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება).
- თვითშფასების ანგარიში;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან; პრაქტიკის წარმომადგენლებთან; სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- პრაქტიკის სასწავლო კურსში აისახოს ონლაინმედიაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

--

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში კონკრეტული მასალის ათვისებისა და ზოგად/ტრანსფერულ უნარების გამომუშავებისათვის გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები: სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, ასევე სხვადასხვა აქტივობები - დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი.

სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სტანდარტთან და პროგრამით დასახულ მიზნებთან და, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

სილაბუსებისა და ინტერვიუს ანალიზით ირკვევა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში (ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგიის საფუძვლები, დემოკრატია და მოქალაქეობა, კულტუროლოგია, საქართველოს ისტორია, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სოციოლოგიის საფუძვლები, ეკონომიკის საფუძვლები, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია I , II; საზღვარგარეთის მედია) სწავლება-სწავლის მეთოდი- პრაქტიკული მუშაობა არ გამოიყენება მიზნობრივად. რადგან დასტურდება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებში შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი არ ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს, საველე სამუშაოებს. მიზანშეწონილია კურსის სპეციფიკის შესაბამისი ადეკვატური სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან , აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლება- სწავლის მეთოდების მიზნობრიობა სასწავლო კურსებში: ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგიის საფუძვლები, დემოკრატია და მოქალაქეობა, კულტუროლოგია, საქართველოს ისტორია, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სოციოლოგიის საფუძვლები, ეკონომიკის საფუძვლები, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია I , II; საზღვარგარეთის მედია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან , აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

7. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების მცირე რაოდენობა ხელს უწყობს სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის ღია და უშუალო დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ინტერვიუს სესიებიდან გაირკვა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან საკონსულტაციო სერვისების შესახებ (კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში) , თუმცა ლექცია-სემინარებზე ინტენსიური მუშაობის შემდეგ აღნიშნავენ მათი გამოყენების ნაკლებ საჭირებას. უნივერსიტეტი ჩარიცხული სტუდენტებისათვის ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც აცნობს მათთვის საჭირო ძირითად ინფორმაციას. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას - უსდ-ში დაგეგმილ ღონისძიებების, სტაჟირებებისა და ვაკანსიების შესახებ (უსდ-ს რეკომენდაციით მედიასაშუალება "Qartli.ge" - ში ამჟამად დასაქმებულია 2 კურსდამთავრებული). უსდ სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას. ადგილზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, გაცვლითი პროგრამით ორი სტუდენტი იმყოფებოდა თურქეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის (ვარშავის) უნივერსიტეტებში. წარმოდგენილი მასალის შესწავლით და ინტერვიუს სესიებით გაირკვა, რომ პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებსა და ღონისძიებებში. სტუდენტთა ნაშრომები ქვეყნდება გსსუ-ს „ყოველწლიური სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში“. ახალგაზრდები ასევე, აქტიურად მონაწილობენ გსსუ-ს ყოველთვიურ ჟურნალის "ჩვენი უნივერსიტეტის" მომზადებაშიც; შექმნილი აქვთ და მართავენ საინფორმაციო პორტალს – „ ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ მონაცემები სტუდენების პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილოების შესახებ. ➢ სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის დებულება; ➢ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

➢ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

8. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის პერსონალი, რომელთაც აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ კონკურსის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მოწვეული სპეციალისტები კი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად არიან გამწესებულნი. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების არანაკლებ 50%-ის პასუხისმგებელ ლექტორებს სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი შეადგენს. ამასთან, პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ არის 1/40-ზე ნაკლები. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის წლიური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 600 სთ-ს, მათ შორის საკონტაქტო მუშაობის რაოდენობა - არანაკლებ 150 სთ-ს; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი არის 12/7 ; მათი საერთო რაოდენობა - 19; მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი - 2. პედაგოგთა კორპუსის ასეთი დიზაინი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებითა და ინტერვიუს სესიებით შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, როგორც აფილირებული, ისე მოწვეული, აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, მათი კვალიფიკაცია

დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაციებით, რომელთა უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია საქართველოში.

პროგრამა განიცდის პრაქტიკოსი ლექტორების სიმცირეს. ექსპერტთა აზრით, დარგში სპეციალიზირებული პერსონალის რიცხვის გაზრდა, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი მომავალში დადებითად აისახება საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ხარისხზე.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს დადგენილება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარრეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-18 დადგენილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- დებულება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-13 დადგენილება);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუს შედეგები უსდ-ს ადმინისტაციასთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; აკად/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამა განიცდის დარგის პრაქტიკოსი ლექტორების სიმცირეს, ექპერტთა რჩევაა, უსდ-მ გაზარდოს მათი რიცხოვნობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარების, აგრეთვე წახალისების მიზნით(მე-13 ხელფასი). პერსონალის შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესაბამისად და მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები - ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები. თუმცა უშუალოდ ჟურნალისტიკის მიმართულებით მათი წილი მცირეა და ამ მხრივ გასააქტიურებელია ძალისხმევა.

პროგრამის ხელმძღვანელი ამერიკის საელჩოს პროექტის - მედიაგანათლების პროგრამა - ფარგლებში იმყოფებოდა ჩიკაგოს, ლაიოლას და დეპოლის უნივერსიტეტებში, აგრეთვე პროგრამის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა პროექტში Mercy Corps Alliances Lesser Caucasus Programme (JRC Journalism Resourse Center); ერთი პროფესორი იმყოფებოდა Tempus 1-2013-1-PT JPCR "პროექტის ფარგლებში სტაჟირებაზე ესპანეთში, ჟირონას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთი ასოცირებული პროფესორი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მიზნით იმყოფებოდა იერუსალიმის უნივერსიტეტში; ერთი პროფესორი საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდა რიგასა და ვენაში, ერთი ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდა ინდოეთში, აზერბაიჯანსა და პოლონეთში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება); ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება); ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-54 დადგენილება);პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ➢ პროგრამის პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები ➢ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას); ➢ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება); ➢ პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები; ➢ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექპერტთა რჩევაა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სამეცნიერო საქმიანობის სხვადასხვა სახის ღონისძიებები: კვლევითი პროექტები; კონფერენციები; ტრენინგები; მასტერკლასები და ა.შ. სასურველია უცხოელი სპეციალისტის/ექსპერტის მოწვევა, რაც ითვალისწინებს არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებას მასტერ-კლასების, ტრენინგების და სხვა ჩატარების გზით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობის ფორმებსაც, რაც ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს დაეხმარება საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში, მეორე მხრივ, ხელს შეუწყოს დარგის განვითარებას რეგიონში და საერთაშორისო სივრცეში მის ადაპტირებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა მოცემულ ეტაპზე არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი იმ ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამას არ აქვს სტუდია, სივრცე,, რომელიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სასწავლო კურსისა და მიმდინარე სტუდენტური პროექტების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარის გამოსამუშავებლად. სატელევიზიო სტუდიას(პავილიონს) წარმოადგენს ოთახი ორი სავარძლითა და ერთი ვიდეოკამერით. ამავე ოთახშია განთავსებული სამონტაჟო კომპიუტერი. ინტერვიუს სესიებიდან გაირკვა, რომ გსსუ-ს აქვს პარტნიორული ურთიერთობები საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებსა და საკონსულოებთან. მათ შორის, უნივერსიტეტს გამორჩეულად მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს აშშ-ს საელჩოსთან. არსებული ინსტიტუციური პარტნიორობის ფარგლებში გსსუ-ს უკვე განხორციელებული აქვს რამდენიმე პროგრამა. როგორც სესიების დროს აღინიშნა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილებასა და კულტურის ატაშეს აპარატთან, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი რეგიონული მედიაცენტრის საუნივერისტეტო სივრცეში დაარსებასთან დაკავშირებით. აშშ-ს გააჩნია არაერთი საგრანტო კონკურსი, მათ შორის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა, Georgian Media Partnership Program, ALUMNI Grants (PAS), Media Educational Program, რომელთა ფარგლებშიც უსდ გეგმავს ზემოხსენებული მედიაცენტრის ჩამოყალიბებას. ინტერვიუს სესიებში აღინიშნა, რომ მედიაცენტრი მოემსახურება საბაკალავრო პროგრამას, იმუშავებს რეგიონში მედიის სექტორის განვითარების მიმართულებით და განახორციელებს მედიასექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსის გადამზადებას.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით აღჭურვილი აუდიტორია - ლაბორატორიები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს, რაც აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი კატალოგი ქაღალდზე (ანბანური და სისტემატური), ასევე ელექტრონული სახით (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio"). უსდ-ს ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკა ამჟამად მოიცავს 5000 საბიბლიოთეკო ერთეულზე მეტს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.

ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული).

სასწავლო უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ინფრასტრუქტურა
- ვიდეომასალა ;
- ინტერვიუს შედეგები .

რეკომენდაციები:

პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისათვის მიზაშეწონილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფილი მედიაცენტრის შექმნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი ;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან ; პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		

9. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის პრინციპებს, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურის შემოწმებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებასა და გაუმჯობესებას. ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში- პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომლის შედგენაშიც ჩართულია პროგრამის აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე;
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვები;
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის გამოკითხვები.
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა განვითარების მიზნით იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამამ უკანასკნელი აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. პროგრამის პერსონალმა, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განიხილა და შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები: „ინტერნეტჟურნალისტიკა“, „მედია და კონფლიქტები“, „ფოტოჟურნალისტიკა“ არჩევითი კურსებიდან გადავიდა ძირითად სასწავლო კურსთა ჩამონათვალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად აფასებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ისე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას და პროფესიულ განვითარებას. შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და წარუდგენს უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს.

გსსუ-ს სამეცნიერ-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება ხორციელდება ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასებას შეფასების ფორმით გათვალისწინებული ინდიკატორებისა და შეფასების წყაროების (პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსის სილაბუსი, პედაგოგთა პირადი საქმეები, მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების შედეგები, სტუდენტების და პედაგოგებისგამოკითხვისშედეგები) საფუძველზე. აღნიშნული შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შეფასების შედეგებს.

სასწავლო კურსის შეფასების ფორმაში აისახება მითითებული ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემმოწმებელთა მოსაზრებები გამოვლენილი ნაკლოვანების შესახებ აისახება სათანადო შენიშვნის სტრიქონში.
სასწავლო კურსის შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასწავლო კურსის განხორციელების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეორე - შემაჯამებელ ეტაპზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის (და/ან უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების) წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით

ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება.

თითოეული სტანდარტის შესრულების ხარისხი ფასდება სათანადო ინდიკატორებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების დონით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განვითარებას.

პროგრამის შეფასების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანის მიერ დადგენილ ვადებში პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების პასუხისმგებელ ლექტორებთან, უნივერსიტეტის კათედრებთან/ ცენტრებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და წინადადებებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

პროგრამის განვითარების მიზნით მხედველობაში არის მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების ლოიოლას და დეპოლის უნივერსიტეტების გამოცდილება.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- თვითშეფასების ანგარიში ;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
- კოლეგიალური (გარე) შეფასების დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	v			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		v		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	v			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		v		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	v			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნინო შოშიტაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ლელა ფირალიშვილი 

მარიამ წიქარიშვილი